საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-4/2290
06/03/2023

2290-15-4-2-202303061716

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსს
ბატონ კარლო კაციტაძეს

წინადადება

[redacted] მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების წარმოების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო კარლო,

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები, საგამონაკლისო წესით, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გაეცნენ სისხლის სამართლის [redacted] საქმეზე [redacted] მიმართ დანაშაულებრივი ქმედებების ფაქტზე) მიმდინარე გამოძიების საქმის მასალებს. აქვე, მასალების საგამონაკლისოდ გაცნობის შესაძლებლობისთვის სახალხო დამცველის აპარატი გიხდით მადლობას.

საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოძიების დაწყების დღიდან, იგი სტაბილურად აქტიურად მიმდინარეობდა, ჩატარებულია ათობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, თუმცა 2021 წლის შემდეგ გამოძიების ფარგლებში აქტიურობა აღარ შეინიშნება და იკვეთება გამოძიების გაჭიანურება.

სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოკვეთილ ხარვეზებზე წინამდებარე წინადადებაში დეტალურად იქნება საუბარი.

ფაქტობრივი გარემოებები

[redacted] მიმართ N8 პენიტენციურ დაწესებულებაში სავარაუდოდ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე გამოძიება თავდაპირველად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაიწყო დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143³ მუხლის მე-2

ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. [redacted] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს 2021 წლის 14 ივლისს მიმართა და რამდენიმე კანონსაწინააღმდეგო ფაქტის შესახებ მიუთითებდა.

1. [redacted] არის ტრანსგენდერი ქალი და ატარებდა გრძელ თმასა და ფრჩხილებს, იღებდა ჰორმონალურ პრეპარატებს და ჰქონდა მკერდი. აღნიშნულის ნიადაგზე, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლებისას, სავარაუდო მსხვერპლის გადმოცემით, თანამშრომლები ექცეოდნენ ცინიკურად, მიმართავდნენ შეურაცხმყოფელი სიტყვებით. ასევე, მისი ნების საწინააღმდეგოდ, უსაფრთხოების მოტივით, შეაჭრეს თმა და ფრჩხილები. [redacted] თქმით, მისთვის ეს ყოველივე იყო დამამცირებელი, ჰქონდა მძაფრი შეგრძნებები. ასევე, მოსთხოვეს გაშიშვლება, რადგან უნდა შეემოწმებინათ, ხოლო ამ დროს ოთახში შემოდიოდნენ სხვადასხვა პირები, რომლებსაც შემოწმებასთან არანაირი შეხება არ ჰქონდათ, მას უყურებდნენ და დამცინავ ფრაზებს ამბობდნენ.

2. 2020 წლის თებერვლის ბოლოს, N20 საკანში იყვნენ სულ 4 პატიმარი, ჰქონდათ ორი ლეიბი, ამიტომ მოითხოვა დამატებით ლეიბის მიწოდება, რის შემდეგაც თანამშრომლებმა ჩაიყვანეს სხვა საკანში, სადაც არ იყო განთავსებული ვიდეოკამერები. ორმა თანამშრომელმა წააქცია და ურტყეს ფეხები და ხელები, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფასაც, რადგან ლეიბი მოითხოვა და ამის გამო კორპუსის ოფიცერი გაღიზიანდა. მსხვერპლის თქმით, ცემის შედეგად მძიმე დაზიანებები არ მიუღია და მიუთითებდა, რომ შეუძლია ამ 2 თანამშრომლის ამოცნობა.
3. [redacted] გადმოცემით, მის მიმართ ფიზიკური ძალადობა განხორციელდა 2020 წლის 25-26 მარტსაც. კერძოდ, გაიყვანეს სამორიგეო ოთახის გვერდით ოთახში, სადაც აგრეთვე არ იყო ვიდეოკამერები განთავსებული. მისი თქმით, ამ ოთახში დახვდა ორი თანამშრომელი, ერთ-ერთმა წვივებში ჯოხი დაარტყა, რის გამოც სილურჯეები დარჩა. მისი თქმით, ითხოვდა სხვადასხვა მედიკამენტს და ამიტომ განხორციელდა მის მიმართ ძალადობის ეს ეპიზოდი.
4. სავარაუდო მსხვერპლის გადმოცემით, მის მიმართ ძალადობა კიდევ ორჯერ განხორციელდა. კერძოდ, სცემა N8 პენიტენციური დაწესებულების [redacted] ციხეში შეყვანიდან დაახლოებით ორი თვის შემდეგ, დაახლოებით ერთ თვიან შუალედში (ზუსტი დროის გახსენება არ შეეძლო). ძალადობა ორივეჯერ მოხდა საკარანტინე სივრცეში. [redacted] ერთად იყვნენ სხვა თანამშრომლები, ვერ იხსენებდა ზუსტ ვინაობასა და რაოდენობას, თუმცა [redacted] თქმით, მათ რაიმე სახის შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ. მისი გადმოცემით, სცემა მხოლოდ [redacted] წყლით სავსე ბოთლებით, ცემის შედეგად კი ბოთლი მოხვდა პირზე და ჩამოუგდო სამი კბილი (იმპლანტები ჰქონდა გაკეთებული). [redacted] გადმოცემით, ძალადობის მიზეზი იყო ის, რომ როდესაც რაიმე სჭირდებოდათ, იგი ითხოვდა როგორც თავისთვის, აგრეთვე - სხვა პატიმრებისთვის. სავარაუდო მსხვერპლის გადმოცემით, გარდა ამისა, თანამშრომლების მხრიდან

ყოველდღიურად განიცდიდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, რაც განპირობებული იყო მისი გენდერული იდენტობით.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გამოძიება 2020 წლის 21 ივლისს დაიწყო, მანამდე (20 ივლისს) კი გასაუბრება შედგა სავარაუდო მსხვერპლთან. როგორც საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, 2020 წლის განმავლობაში საგამოძიებო მოქმედებები აქტიურად მიმდინარეობდა. გამოთხოვილ იქნა N8 პენიტენციური დაწესებულებიდან ინფორმაცია, დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, ამოღებულ იქნა [redacted] ჭირადი საქმე, დაარქივდა ვიდეოკამერების ჩანაწერები ნაწილობრივ,[1] გამოთხოვილ და დათვალიერებულ იქნა დროებითი მოთავსების იზოლატორში შენახული ინფორმაცია, ამოღებულ იქნა და დათვალიერდა [redacted] ამბულატორიული ბარათი, გამოიკითხა [redacted] რამდენიმე თანასაკნელი და პენიტენციური დაწესებულების რამდენიმე თანამშრომელი. ამგვარად, 2020 წლის განმავლობაში იმ დროისათვის უმეტესად საჭირო საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა, 2020 წლის 15 დეკემბერს გამოიკითხა [redacted]

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს გამოძიების ფარგლებში მოხდა მხოლოდ [redacted] განაჩენების გამოთხოვა, სხვა საგამოძიებო მოქმედება კი 2021 წელს არ არის ჩატარებული. საქმის მასალებში იკვეთება, რომ 2022 წლის აპრილში გამოიკითხნენ თანამშრომელთა ნაწილი.[2] **აპრილის შემდეგ კი, 2022 წლის დეკემბრის მონაცემებით, სხვა მოქმედება ჩატარებული არ არის.** ამასთან, არ არის თვალსაჩინო, თუ რატომ არის გამოძიება შეჩერებული.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქმისათვის რელევანტური დროის ჩანაწერები, დროის გასვლის გამო, აღარ არსებობს[3]. [redacted] მიუთითებდა, რომ წვივზე დაზიანებები ძალადობის შედეგად მიიღო და კბილის მოტეხვაც ამის შედეგია, ხოლო, დაწესებულების ზოგიერთი თანამშრომელი და თანამესაკნეები მიუთითებდნენ, რომ ეს დაზიანება პატიმარმა საცხოვრებელ საკანში ყოფნის დროს მიიღო.[4] აღსანიშნავია, რომ ამ ნაწილში მნიშვნელოვანი იქნებოდა ელექტრონულ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ (ე.წ. „პულტების" ოთახის) თანამშრომელთა გამოკითხვა და ამ გზით გადამოწმება, ხომ არ

---

[1] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ვიდეოჩანაწერების დაარქივების თაობაზე სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს თავდაპირველად გამოძიების დაწყების დღესვე მიმართა, თუმცა უწყების მხრიდან განემარტა, რომ ვერ დაარქივდებოდა 30 დღეზე მეტი ხნის ჩანაწერები, რადგან აღარ ინახებოდა. 2020 წლის 4 აგვისტოს ინსპექტორის სამსახურმა კვლავ მიმართა პენიტენციურ სამსახურს და ამოიღო 2020 წლის 6 ივლისიდან 14 ივლისამდე ჩანაწერები. ამასთან, ვერ მოხდა [redacted] საცხოვრებელი საკნის ვიდეომასალის დაარქივება ვიდეოკამერის ტექნიკური ხარვეზის გამო (პენიტენციური სამსახურის 21 აგვისტოს პასუხი).

[2] 2022 წლის 21 და 26 აპრილი - მოწმეების: [redacted] და [redacted] გამოკითხვის ოქმები.

[3] ვინაიდან [redacted] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს 2020 წლის 20 ივლისს მიმართა და გამოძიება 21 ივლისს დაიწყო, შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში გადაღებული ჩანაწერების დაარქივება („ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის ბრძანება, მუხლი 15-2), ამგვარად, ვერ მოხდებოდა მარტის თვის ჩანაწერების დაარქივება, ხოლო უფრო გვიანდელ ძალადობის თარიღებს სავარაუდო მსხვერპლი ზუსტად ვერ ასახელებდა.

[4] 2020 წლის 23 სექტემბრის გამოკითხვის ოქმი. მოწმე [redacted] 2020 წლის 10 აგვისტოს გამოკითხვის ოქმი, მოწმე [redacted]

ახსოვთ, მართლაც საკანში მიიღო თუ არა სავარაუდო მსხვერპლმა წვივისა და კბილის დაზიანებები, ვინაიდან საკანში განთავსებული იყო სამეთვალყურეო ვიდეოკამერები, როგორც ამას გამოკითხვებში მოწმეები მიუთითებენ.

საქმის მასალების გაცნობის შედეგად, ამასთან, იკვეთება, რომ საკანში [redacted] ერთად იმყოფებოდნენ - [redacted]

ხოლო თანამშრომლები, რომლებიც რელევანტურ პერიოდში მორიგეობდნენ, იყვნენ: [redacted]

ხსენებული პირებიდან არ არიან გამოკითხულები პატიმრები - [redacted] და [redacted] ხოლო თანამშრომლებიდან: [redacted]

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით საინტერესო და გამოძიებისათვის რელევანტური იქნებოდა პატიმარ [redacted] გამოკითხვა, რადგან ერთ-ერთმა მოწმე [redacted] გამოკითხვის დროს მიუთითა,[5] რომ საკანში [redacted] კერძოდ, [redacted] ბალიში ესროლა, რის გამოც ამ უკანასკნელს ჩამოტყდა კბილი. [redacted] კი გამოკითხვის შემთხვევაში შეუძლია ამ ვერსიის დადასტურება ან უარყოფა.

ასევე, გამოძიების ფარგლებში, გამოთხოვილია ინფორმაცია იმ თანამშრომელთა შესახებ, ვინც მიიღო დაწესებულებაში [redacted] და ჩაუტარა სამედიცინო შემოწმება. ესენი არიან: [redacted] - ინსპექტორ-კონტროლიორი, რომელმაც პირველად ჩაატარა შემოწმება-დათვალიერება; ექიმი [redacted] რომელმაც ჩაატარა სამედიცინო შემოწმება და [redacted] - ოპერატიული მორიგე. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის დეკემბრის მონაცემებით, ეს პირები არ იყვნენ გამოკითხულები იმ დამამცირებელი მოპყრობის ფაქტების ირგვლივ, რაზეც სავარაუდო მსხვერპლი გამოკითხვაში მიუთითებდა დაწესებულებაში მიღების პერიოდზე.

გარდა ამისა, საქმის მასალებში მოიპოვება პენიტენციური დაწესებულებიდან ამოღებული სამედიცინო ბარათი. 2020 წლის 4 აპრილს შედგენილი ოქმის მიხედვით, მე-3 სარეჟიმო კორპუსის N20 საკანში მოთავსებულ ბრალდებულ [redacted] მარჯვენა ლატერალურ ზედაპირზე აღენიშნებოდა ნაჩხვლეტი ჭრილობა. აღნიშნული დაზიანება მიიღო შემთხვევით. გაეწია პირველად დახმარება. არ იძებნებოდა რაიმე

[5] 2020 წლის 23 სექტემბრის გამოკითხვის ოქმი. მოწმე [redacted]

ჩანაწერი/სამედიცინო დოკუმენტი, კბილის ჩამოტეხვის თაობაზე. საქმიდან არ იკვეთება, ამ დაზიანებებზე ციხემ შეტყობინება გაუგზავნა თუ არა რომელიმე საგამოძიებო სამსახურს და არც ინფორმაციაა ამის შესახებ გამოთხოვილი.

სამართლებრივი დასაბუთება

ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული არასათანადო მოპყრობის აკრძალვის აბსოლუტური უფლებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება მოიცავს პროცედურულ ვალდებულებას, რომელიც დამნაშავე პირთა გამოვლენისა და დასჯის მიზნით ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას გულისხმობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ლეგალური აკრძალვა, მისი ფუნდამენტური მნიშვნელობის მიუხედავად, პრაქტიკაში არაეფექტიანი იქნებოდა და ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელს გახდიდა სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან, მათ კონტროლქვეშ მყოფ პირთა უფლებების დარღვევას, თითქმის სრული დაუსჯელობის პირობებში.[6]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მე-3 მუხლის სფეროში მოქცევისთვის მოპყრობამ სისასტიკის მინიმალურ ზღვარს უნდა მიაღწიოს. შეფასებისას გაითვალისწინება მოპყრობის შინაარსი, ბუნება, ფორმა, ხანგრძლივობა, ფიზიკური და სულიერი ზიანი, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა. სასამართლო არაადამიანურად მიიჩნევს წინასწარი განზრახვით ჩადენილ მოპყრობას, რომელიც სხეულის დაზიანებას ან ძლიერ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტანჯვას იწვევს, დამამცირებელ მოპყრობად თვლის ქმედებას, რომელიც შეურაცხყოფს ან ამცირებს პირს, ან აკნინებს მის ღირსებას ან აღძრავს მასში შიშის, ტანჯვისა და არასრულფასოვნების განცდას, რომელსაც მორალური თუ ფიზიკური გამძლეობის გატეხა შეუძლია.[7]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[3] მუხლით აკრძალულია დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა - პირის დამცირება ან იძულება არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს.

იმ შემთხვევაში, თუ პირი სხეულის დაზიანებას იღებს დაკავებისას ან პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის პერიოდში, ყოველი ასეთი დაზიანება წარმოშობს ძლიერ პრეზუმფციას, რომ ადამიანი დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას. სახელმწიფოს გააჩნია ვალდებულება, წარმოადგინოს ჯეროვანი ახსნა-განმარტება, თუ რამ გამოიწვია დაზიანებები. სახელმწიფოს მიერ მსგავსი განმარტების წარმოუდგენლობა აშკარად

---

[6] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Assenov and others v. Bulgaria, №24760/94, §102, 28/10/1998.

[7] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება Pretty v. The United Kingdom, განაცხადი N2346/02; §52; 2001 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება Price v. The United Kingdom, განაცხადი N33394/96, §30.

წარმოშობს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საკითხს.[8]

ამასთანავე, წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი (CPT) ხშირად აღნიშნავს, რომ სათანადო სამართლებრივი სისტემის არსებობა, თავისთავად, არ არის საკმარისი იმის გარანტიისათვის, რომ სათანადო ზომები იქნება მიღებული არასათანადო მოპყრობის შესაძლო შემთხვევებში. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ რელევანტური ხელისუფლებები უფრო სენსიტიურნი იყვნენ იმ მნიშვნელოვანი ვალდებულებების მიმართ, რაც მათ აკისრიათ.[9]

არასათანადო მოპყრობის გამოძიების ვალდებულება, თავის მხრივ სხვადასხვა გარანტიას მოიცავს. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ გამოძიება წარიმართოს სწრაფად, არაგონივრული დაყოვნების გარეშე. ცხადია, შესაძლებელია, იყოს წინაღობები და სირთულეები, რაც ცალკეულ შემთხვევაში გამოძიების მიმდინარეობას ხელს შეუშლის, თუმცა, არასათანადო მოპყრობის საქმის გამოძიების შემთხვევებში, შესაბამისი უწყებების მხრიდან სწრაფი რეაგირება აუცილებელია საჯარო ნდობის შესანარჩუნებლად, სამართლის უზენაესობის პრინციპების გათვალისწინებით, რათა არ წარმოიშვას ეჭვი, რომ სახელმწიფო შემწყნარებელია ამგვარი უკანონო ქმედებების მიმართ.[10]

მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დროული გამოძიების ვალდებულების დარღვევა დაადგინა როგორც *Baranin and Vukčević v. Montenegro,*[11] აგრეთვე -*Mătăsaru and Savițchi v. Moldova*[12] საქმეებში, რადგან ადგილი ჰქონდა გაუმართლებელ გაჭიანურებას მოწმეების გამოკითხვისა და მათგან ჩვენებების მიღების ნაწილში.

აღსანიშნავია, რომ გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი მოწმეების გამოკითხვის გაუმართლებელი დაყოვნება საზიანოა გამოძიებისათვის არამხოლოდ იმდენად, რომ იგი, თავის მხრივ, გამოძიების გაჭიანურებას იწვევს, არამედ იქიდან გამომდინარეც, რომ დიდი ხნის გასვლის შემდეგ, მოწმეს შესაძლოა აღარ ახსოვდეს რელევანტური გარემოებები და დეტალები, რამაც, შესაძლოა, ფაქტების დადგენას არსებითად შეუშალოს ხელი და გამოძიება მნიშვნელოვნად დააზიანოს. ასეთ შემთხვევაში, გამოძიებას, შესაძლოა, აღარ გააჩნდეს უნარი, რომ გამოკვეთოს შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებზე პასუხისმგებელი პირები, რაც კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილ ვალდებულებას ეწინააღმდეგება.

---

[8] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Colibaba v. Moldova, №29089/06, §43, 23.10.2007.

[9] ამონარიდი წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის (CPT) მე-14 ანგარიშიდან.

[10] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Bouyid v. Belgium [GC], no. 23380/09) § 121.

[11] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2021 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Baranin and Vukčević v. Montenegro nos. 24655/18 and 24656/18*, § 142

[12] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Mătăsaru and Savițchi v. Moldova, no. 38281/08*, §§ 88 and 93.

ამასთან, სწორედ იმგვარ შემთხვევებში, სადაც ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ ხერხდება შესაბამისი ვიდეოჩანაწერების სათანადოდ აღდგენა, გამოძიებას გააჩნია განსაკუთრებული ვალდებულება, რომ იზრუნოს სხვა სახის მტკიცებულებების მოპოვებაზე. ამ ვალდებულების სრულფასოვნად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ვიდეოჩანაწერების სრულად ვერმოპოვების პირობებშიც, გამოძიებას აქვს შესაძლებლობა იყოს ეფექტიანი და გამოიღოს ხელშესახები შედეგი. აქედან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში მკაცრად მიზანშეწონილია, რომ გამოძიებამ სრულფასოვნად გამოიკვლიოს იმ პოტენციურ მტკიცებულებათა რესურსი, რომლის ხელმისაწვდომობაც დღემდე ჩატარებულმა საგამოძიებო მოქმედებებმა წარმოაჩინა.

ეფექტიანი გამოძიების ჩატარებისთვის საჭირო ღონისძიებები

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის მასალების გაცნობის შედეგად, ეფექტიანი გამოძიების წარმართვის მიზნებისათვის, მიზანშეწონილია გამოძიების ფარგლებში, გონივრულად შემჭიდროვებულ ვადებში, განხორციელდეს შემდეგი მოქმედებები:

- გამოიკითხოს [redacted] თანამესაკნეები [redacted] და [redacted] პრიორიტეტულად კი - [redacted], რომელსაც შეეძლება გამოძიებისთვის საინტერესო საკითხებზე ინფორმირება;
- გამოკითხულ იქნან პირები, რომელთა მხრიდან მოხდა [redacted] პირველადი შემოწმება, კერძოდ: [redacted] - ინსპექტორ-კონტროლიორი, რომელმაც პირველად ჩაატარა შემოწმება-დათვალიერება; ექიმი [redacted] [redacted] რომელმაც ჩაატარა სამედიცინო შემოწმება და [redacted] - ოპერატიული მორიგე.
- გამოკითხულ იქნან პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები: [redacted]
- გამოკითხულ იქნან ელექტრონულ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი (ე.წ. „პულტების“ ოთახის) თანამშრომლები კბილის ჩამოტეხვის ეპიზოდთან დაკავშირებით;
- გამოკითხულ იქნეს სამედიცინო პერსონალი იმ მიზნით, რომ დადგინდეს, სრულად მოხდა თუ არა [redacted] დაზიანებების აღწერა და აღრიცხვა, მათ შორის, კბილების დაზიანებებთან რელევანტური გარემოებების ჩათვლით და უარყოფითი პასუხის შემთხვევაში დადგინდეს შესაბამისი მიზეზები;[13]

---

[13] [redacted] მიუთითებს, რომ ძალადობის შედეგად რამდენიმე კბილი ჩამოტყდა. მოწმე [redacted] [redacted] კი მიუთითებს, რომ კბილზე დაზიანება საკანში მიიღო, რის შემდეგაც გადაყვანილ იქნა სამედიცინო პუნქტში. აღნიშნულის მიუხედავად, ჩამოტეხილ კბილზე მითითება არც ერთ დოკუმენტაციაში არ არის.

- გამოთხოვილ იქნას ინფორმაცია, აღწერილ დაზიანებებთან დაკავშირებით გაგზავნილ იქნა თუ არა შეტყობინება ექიმის მხრიდან რომელიმე უწყების მისამართით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გთხოვთ, უზრუნველყოთ ხსენებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გაჭიანურების განმაპირობებელი გარემოებების დადგენა, რათა შემდგომში თავიდან არიდებულ იქნას გამოძიების რაიმე ფორმით დაყოვნება.

დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით გარანტირებული არასათანადო მოპყრობის აკრძალვის აბსოლუტური უფლების პოზიტიური, პროცედურული ხასიათის ვალდებულების უზრუნველსაყოფად აუცილებელია [redacted] მიმართ განხორციელებული სავარაუდო დანაშაულის ფაქტებზე ეფექტიანი გამოძიების წარმართვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით სისხლის საქმეზე, შემჭიდროვებულ ვადებში, განხორციელდეს დასახელებული მოქმედებები და, დამატებით, უზრუნველყოფილ იქნას სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გაჭიანურების განმაპირობებელი გარემოებების დადგენა, რათა შემდგომში თავიდან არიდებულ იქნას გამოძიების ამგვარი დაყოვნება.

წინადადების განხილვის შედეგები, გთხოვთ, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში აცნობოთ სახალხო დამცველს.

პატივისცემით,

თამარ გვარამაძე

სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელი

.